ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის წერილის პასუხად გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს წარმოგიდგენთ დანართის სახით.

დანართი : 5 ფურცელი

პატივისცემით,

ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე ჯაბა სამუშია.

№10/17609 31.10.2016

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის

ჯაბა სამუშიას 2016 წლის ანგარიში

(1 იანვრიდან 20 ოქტომბრის ჩათვლით)

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 44-ე, 45-ე და 47-ე მუხლების და ქალაქ თბილისის მუნიციპალიუტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის #2-1 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის" მე-12 და მე-13 მუხლების თანახმად, გაცნობებთ შემდეგს

საკრებულოს სხდომებში, კომისიებისა და ფრაქციების მუშაობაში

მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია

ქალაქ თბილისის საკრებულოს სხდომა - 27 სხდომა

ქალაქ თბილისის საკრებულოს ბიურის სხდომა - 27 სხდომა

საკრებულოს ბიუროსა და სხდომებზე განხილული საკითხები _ 447 საკითხი.

განხილული საკითხებიდან მიღებული იქნა _ 83 დადგენილება და 364 განკარგულება.

საკრებულოს სხდომების გარდა მონაწილეობა მივიღე შემდეგ აქტივობებში:

1.ფრაქცია ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველოსათვის" - 16 სხდომა

2. სახელდებისა და სიმბოლოკის კომისიია - 7 სხდომა, სადაც განხილულია 25 საკითხი

3. ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისია - 28 სხდომა

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვის თაობაზე გაფორმებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისია - 3 სხდომა,სადაც განხილული იქნა 35 საკითხი.

ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიაზე განხილული და შესწავლილი იქნა 164 საკითხი, რომლებზედაც გაკეთებულია კომისიის დასკვნები.

- მ.შ.ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 დეკემბრის #18-57 დადგენილებაში ცვლილებების შესახებ" საკრებულოს პროექტი - 6 პროექტი
- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის კვარტალური შესრულების შესახებ - (3 თვე, 6 თვე)
- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესრულება.

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციისა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების შესაბამისად, რომელიც მხოლოდ ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის პრეროგატივაა _ 14 წერილი.
- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის წერილები მერიის სამსახურებისა და თბილისის რაიონული გამგეობების მიერ სხვადასხვა სამუშაოებთან დაკავშირებით გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდვების განხორციელების თაობაზე- 49 საკითხი.
- „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში, 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესში"ცვლილების პროექტი. 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალდნენ ის ფიზიკური პირებიც, რომლებიც სტიქიის ზონაში ცხოვრობდნენ ქირით და დაუზიანდათ მათ საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება/ნივთები, ვინაიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობის და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესით არ იყო განსაზღვრული მათი დახმარების წესი და შესაბამისი მექანიზმები, აღნიშნულიდან გამომდინარე, უამრავი განცხადების მიუხედავად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი მოკლებული იყო ქირით მცხოვრები პირების დახმარების შესაძლებლობას. წარმოდგენილი პროექტით, წესის მე-5 მუხლს ემატება მე-4 პუნქტი: „4. შესაბამისი რაიონის გამგეობის მიერ ფულადი დახმარება 3 000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით, ერთჯერადად, საოჯახო ნივთების შესაძენად, ასევე მიეცემათ დახმარება სტიქიის არეალში მდებარე უძრავი ქონების დამქირავებლებს, რომლებიც ამ წესის მიზნებიდან გამომდინარე არ ითვლებიან დაზარალებულ პირებად, თუმცა 13-14 ივნისის სტიქიის დროს დაეკარგათ ან დაუზიანდათ მათ მფლობელობაში არსებული მოძრავი ქონება/ნივთები და აღნიშნული ჩანაწერის ამოქმედების დროისათვის იდენტიფიცირებულნი არიან გამგეობების მიერ".

ხოლო იმის გამო რომ ამ კონკრეტულ მისამართზე არვინ არის რეგისტრირებული დასუფთავების მოსაკრებელი არ არიცხებათ. იმ შემთხვევაში თუ ბინა დაკეტილია და არავინ ცხოვრობს არ მოხდება დასუფთავების მოსაკრებლის დარიცხვა, მაგრამ თუ დადასტურდება მოსახლეობის ცხოვრების ფაქტი, დაერიცხება დასუფთავების მოსაკრებელი როგორც ერთ სულს 2,5 ლარის ოდენობით.

- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემაზე თანხმობის შესახებ.

მნიშვნელოვანია ასევესაქართველოს ფინანსთა სამიისტროს, ქ.თბილისის მუნიციპიტეტის მერიასა და შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანიას შორის" თბილისის ავტობუსების პროექტთან დაკავშირებით" ქვესასესხო ხელშეკრულების გაფორმების მიზნით გასატარებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და ქ. თბილისის მუნიციპლიტეტის მერიას შორის „თბილისის ავტობუსების პროექტთან დაკავშირებით" თანხის გადაცემის ხელშეკრულების გაფორმების მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე. საქართველოს და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის, „თბილისის ავტობუსების პროექტთან დაკავშირებით" 2016 წლის 11 მაისს ხელი მოეწერა სასესხო შეთანხმებას 27 000 000 (ოცდაშვიდი მილიონი) ევროზე. პროექტთან დაკავშირებით, 2016 წლის 11 მაისს გაფორმდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის პროექტის მხარდაჭერის , ხოლო შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა" და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის პროექტის განხორციელების ხელშეკრულებები. აღნიშნულის თანახმად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, სასესხო შეთანხმების საფუძველზე და სასესხო პირობების გათვალისწინებით, გადასცემს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას ქვესასესხო შეთანხმებით, პროექტის განხორციელებისათვის გათვალისწინებულ თანხას, 27 000 000 (ოცდაშვიდი მილიონი) ევროს ოდენობით, სასესხო შეთანხმებით, პროექტის განხორციელების ხელშეკრულებით და პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად. გარდა ამისა 2016 წლის 11 მაისს ხელი მოეწერა საგრანტო შეთანხმებას 7 000 000 (შვიდი მილიონი) ევროზე. პროექტთან დაკავშირებით, 2016 წლის 11 მაისს გაფორმდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის პროექტის მხარდაჭერის , ხოლო შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა" და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის პროექტის განხორციელების ხელშეკრულებები. აღნიშნულის თანახმად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საგრანტო შეთანხმების საფუძველზე და საგრანტო პირობების

გათვალისწინებით, გადასცემს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას თნხის გადაცემის ხელშეკრულებით, პროექტის განხორციელებისათვის გათვალისწინებულ გრანტს, 7 000 000 (შვიდი მილიონი) ევროს ოდენობით, საგრანტო შეთანხმებით, პროექტის განხორციელების ხელშეკრულებით და პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

ამომრჩეველთა მიღების , მათი წერილების, წინადადებებისა

და საჩივრების განხილვის შესახებ ინფორმაცია

- 1410 მოქალაქესთან შეხვედრა სამაჟორიტარო ბიუროსა და საკრებულოში.
- 501 საკრებულოსა და სამაჟორიტარო ბიუროში შემოსული მოქალაქეთა განცხადება, რაზედაც საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და კომპეტენციის ფარგლებში მოხდა რეაგირება.
- 450- მდე მოქალაქეს გაეწია სამართლებრივი კონსულტაციები.

საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში სახელწიფო

და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის შესახებ ინფორმაცია

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქეოლოგიური საბჭოს სხდომებში, სადაც განხილული იქნა:საქართველოს ეროვნული მუზეუმის უძველესი თბილისის შემსწავლელი ცენტრის პროექტი- „თრელიგორების ნასახლარი", ასევე „შაჰტახტის" (დედა ციხე) ტეროტორიაზე არქეოლოგიური გათხრების პროექტი.
- მონაწილეობა სხვადასხვა სამთავრობო და მეცნიერულ კამათებში.

საკრებულოს წევრი

ჯაბა სამუშია